ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2015–2016 წლების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

2015 წელი 20 იანვარი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის №18 ბრძანებით დამტკიცებული ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2015-2016 წელს ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 დეკემბრის №2175 განკარგულების საფუძველზე.

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია 2015-2016 წლების განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს მხოლოდ ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2015-2016 წლების კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი), ამავე ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისაგან, წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის პირობების შესაბამისად, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების, თავდაცვის ატაშეს, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ ფიჭური სატელეფონო მომსახურების შესყიდვის შემთხვევებისა და წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის 1.3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1.3 შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული როუმინგული მომსახურება შეისყიდოს მხოლოდ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტისგან იმ შემთხვევაში, თუ სხვა მიმწოდებლისგან როუმინგული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ პირობებზე უკეთესი პირობებით. როუმინგული და მასთან დაკავშირებული მომსახურების სხვა მიმწოდებლისგან შესყიდვის შემთხვევაში, დაუშვებელია როუმინგული და მასთან დაკავშირებული მომსახურების გარდა სხვა მომსახურებით სარგებლობა.

1.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციები არიან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) „შემსყიდველად“ რეგისტრირებული მომხმარებლები.

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართით განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურება, კერძოდ GSM სტანდარტის მობილური კავშირის მომსახურება (შემდგომში - ფიჭური სატელეფონო მომსახურება). აბონენტთა საორიენტაციო რაოდენობაა 280 000 აბონენტი.

მუხლი 3. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები, გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა

3.1 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მხოლოდ

სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებული მომხმარებლები.

3.2 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ პრეტენდენტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) უსადენო დაშვების ქსელის დაფარვის არეალი მოიცავს საქართველოს ტერიტორიის (გარდა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოკუპირებული ტერიტორიებისა) გეოგრაფიული არეალის არანაკლებ 90%, ხოლო დასახლებული ტერიტორიის არანაკლებ 95%.

ბ) მობილური ქსელით წარმატებულად განხორციელებული ზარების პროცენტული მაჩვენებელი 95%-ზე მეტია, რაც დადასტურებული უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ.

გ) GSM ქსელის მიერ შექმნილი ველის დაძაბულობა მეტია ან ტოლია -90dBm-ის (მიმწოდებლის განცხადებული დაფარვის ზონის 95% ფართობზე);

დ) განცხადებული დაფარვის ზონის 90% ფართობზე სიგნალის ხარისხობრივი მაჩვენებელი (RX_QUAL) ნაკლებია 3.5-ზე (GSM ქსელისათვის);

ე) UMTS ქსელის (თუ კომპანიას გააჩნია აღნიშნული ტექნოლოგიის ქსელი) მიერ შექმნილი ველის დაძაბულობა მეტია ან ტოლია -95dBm-ის (მიმწოდებლის განცხადებული დაფარვის ზონის 90% ფართობზე);

ვ) განცხადებული დაფარვის ზონის 70% ფართობზე სიგნალის ხარისხობრივი მაჩვენებელი (Ec/Io) მეტია ან ტოლია -8dB-ის (UMTS ქსელისათვის, თუ კომპანიას გააჩნია აღნიშნული ტექნოლოგიის ქსელი).

3.3 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, სისტემის მეშვეობით უნდა წარადგინოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული 3.2 პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

3.4 პრეტენდენტმა სატენდერო წინადებასთან ერთად სისტემის მეშვეობით უნდა წარადგინოს ინფორმაცია სერვის-ცენტრებისა და მათი ადგილმდებარეობის (მისამართი) შესახებ.

3.5 გამარჯვებულ პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ბლექბერის სერვისი (BES, BIS).

3.6 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემის მეშვეობით უნდა წარადგინოს:
ა) საერთაშორისო გამავალი ზარების ტარიფები ფიქსირებულ ნომრებზე;
ბ) საერთაშორისო გამავალი ზარების ტარიფები მობილურ ნომრებზე;
გ) როუმინგის შემთხვევაში გამავალი ზარების ტარიფები;
დ) როუმინგის შემთხვევაში შემომავალი ზარების ტარიფები;
ე) SMS-ის საგამონაკლისო საერთაშორისო ტარიფები.

3.7 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, რომ

მის მიერ სისტემაში ატვირთული 3.6 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტარიფები არ იქნება უფრო მაღალი, ვიდრე მისი საუკეთესო კორპორატიული წინადადება.

3.8 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ სისტემაში ატვირთული 3.6 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტარიფები თითოეული პოზიციის მიხედვით არ იქნება იმავე პრეტენდენტის მიერ CON140000016 კონსოლიდირებულ ტენდერში შემოთავაზებულ ტარიფებზე მაღალი, გარდა კონსოლიდირებული ტენდერში 3.6 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ტარიფებში ახალი ქვეყნის/ქალაქის/ოპერატორის (პოზიციის) არსებობის შემთხვევისა.

3.9 პრეტენდენტი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით ავტომატურად ეთანხმება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართით განსაზღვრულ ფიჭური სატელეფონო მომსახურების ძირითად პირობებსა და ტარიფებს.

3.10 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობისათვის მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური – 5 000 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ტენდერი შეწყდება ან დასრულდება უარყოფითი შედეგით, ხელმეორედ გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში შეწყვეტილ ან უარყოფითი შედეგით დასრულებულ კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისთვის სატენდერო წინადადების განმეორებით წარდგენის საფასური განისაზღვროს 500 ლარის ოდენობით.

3.11 კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის საფასური გადახდილ უნდა იქნეს სისტემის მეშვეობით. საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი: სს ბანკი „რესპუბლიკა“

ბანკის კოდი: REPLGE22

მიმღები: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში: GE52BR0000010591718543

3.12 კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება სისტემის მეშვეობით.

3.13 სატენდერო წინადადებების მიღება იწყება 2015 წლის 22 იანვარს და მთავრდება 2015 წლის 26 იანვარს. სატენდერო კომისია სატენდერო წინადადებებს განიხილავს გონივრულ ვადაში და შედეგებს აქვეყნებს სისტემის მეშვეობით.

3.14 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3.15 ფიჭური სატელეფონო მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3.16 კონსოლიდირებულ ტენდერში შესაძლებელია ერთზე მეტი გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა.

3.17 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ყველა ის პრეტენდენტი, რომლის სატენდერო წინადადება შესაბამისობაში იქნება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან. პრეტენდენტი არ არის შეზღუდული თავის სატენდერო წინადადებაში მიუთითოს ან შემდგომში დააწესოს უფრო დაბალი ტარიფები, ვიდრე ეს მოცემულია დანართის შესაბამის პუნქტებში. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი ტარიფების შეცვლისას, სატენდერო კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს გამარჯვებულ პრეტენდენტს დანართის შესაბამის პუნქტებში მითითებული ტარიფების ცვლილება.

3.18 4G სერვისის დანერგვის შემთხვევაში სატენდერო კომისია დამატებით იმსჯელებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მუხლი 4. გამარჯვებულ პრეტენდენტებს შორის აბონენტთა გადანაწილების პირობები

4.1 ერთზე მეტი გამარჯვებული პრეტენდეტის გამოვლენის შემთხვევაში, აბონენტთა საორიენტაციო რაოდენობის გადანაწილება გამარჯვებულ კომპანიებს შორის მოხდება თანაბრად, გამარჯვებული პრეტენდენტების რაოდენობის პროპორციულად. საჭიროების შემთხვევაში, აბონენტთა საორიენტაციო რაოდენობაში თითოეული გამარჯვებული პრეტენდეტის წილის (კვოტის) შევსება შესაძლებელია გამარჯვებული პრეტენდენტის წილის არაუმეტეს 1%-ით გაზრდის პრინციპის დაცვით, გამარჯვებული პრეტენდეტის დასაბუთებულ შესაბამის მოთხოვნაზე 2015-2016 წლის ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის (შემდგომში - სატენდერო კომისია) წინასწარი დასტურით. სატენდერო კომისია, საკითხის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე და ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით, უფლებამოსილია მიიღოს დამატებითი დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები.

მაგალითი: ორი გამარჯვებულის არსებობისას, თითოეული გამარჯვებული პრეტენდეტის წილი (კვოტა) არის აბონენტთა საორიენტაციო რაოდენობის 50% (საორიენტაციო რაოდენობა 280 000 * 50 % = 140 000). თუ მიმწოდებელ „A“-ს უკვე გადანაწილებული აქვს 139 500 აბონენტი, მას წილის (კვოტის) შევსება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს არ გამოიწვევს აბონენტთა საერთო რაოდენობაში მისი წილის 1%-ზე მეტით გაზრდას. თუ მიმწოდებელ “A“-ს მიმართავს სხვა შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს 2000 თანამშრომელი, მომსახურების გაწევის მოთხოვნით, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიიღებს უარს. მიზეზი იქნება ის, რომ ახალი შემსყიდველი ორგანიზაციის დამატების შემთხვევაში მიმწოდებელი „A“-ს წილის (კვოტა) 140 000 აბონენტი) შევსება მოხდება აბონენტთა საორიენტაციო რაოდენობაში მისი წილის 1%-ზე მეტით გაზრდით. კერძოდ ((139 500 + 2 000) - (140 000 + 1 400) = 100) ასი აბონენტით.

4.2 დაუშვებელია ერთ სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების ან ერთი უწყების

აბონენტთა განაწილება ერთზე მეტ გამარჯვებულ პრეტენდენტთან, გარდა ისეთი უწყებისა, რომლებიც ახორციელებენ ოპერატიულ ან/და სამხედრო ფუნქციებს.

4.3 გამარჯვებულ კომპანიებს შორის გადანაწილებული აბონენტების გადასვლა გამარჯვებულის კვოტის ფარგლებში შესაძლებელია სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში.

4.4 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღებით, მიმწოდებლები კისრულობენ ვალდებულებას, არ შეაფერხონ და ხელი შეუწყონ შესაბამისი კორპორატიული ნომრების პორტირების პროცესს (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

4.5 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის №3 დადგენილებით დამტკიცებული ,,სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის შესახებ" დებულების მე–5 მუხლის მე–3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, სააბონენტო ნომრის პორტირება იზღუდება იმ შემთხვევაში, თუ ,,პორტირების მსურველ პირს, იმ სააბონენტო ნომერზე, რომლის პორტირებასაც ითხოვს, დონორი ოპერატორისგან მიღებულ მომსახურებაზე გააჩნია წინა თვის/თვეების დავალიანება, ან/და დავალიანების გამო შეზღუდული აქვს მომსახურების მიწოდება". ამდენად, ცალკეულ სააბონენტო ნომერზე დავალიანების არსებობა არ წარმოადგენს მთლიანად შემსყიდველი ორგანიზაციისაათვის პორტირებაზე უარის თქმის საფუძველს.

4.6 იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შემსყიდველი ორგანიზაციების კორპორატიული სააბონენტო ნომრების პორტირების პროცესის შეფერხებას და ამის მიზეზად მითითებულია ცალკეულ სააბონენტო ნომრებზე რიცხული დავალიანება, შემსყიდველ ორგანიზაციებს შეუძლიათ მოსთხოვონ შესაბამის ოპერატორს წინა თვის/თვეების დავალიანების (არა მიმდინარე დავალიანების) მქონე სააბონენტო ნომრების ამომწურავი სია, ასეთი დავალიანების ზუსტი მოცულობის, წარმოშობის წყაროებისა და ასეთი დავალიანების დასადგენად აუცილებელი სხვა გარემოებების მითითებით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა და ანგარიშსწორების პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის ფასები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართით წარმოდგენილი ფიჭური სატელეფონო მომსახურების ტარიფებით.

5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. მიმდინარე თვეს გაწეული მომსახურების დაანგარიშება და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად

გაწეული მომსახურების მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.3 შემსყიდველ ორგანიზაციებს, გამონაკლის შემთხვევაში, ოპერატიული საქმიანობის განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე, უფლება აქვთ შესაბამისი გამარჯვებული პრეტენდენტისგან მომსახურება შეისყიდონ წინასწარი გადახდის (მაგ. წინასწარი გადახდის ბარათები) პირობით.

მუხლი 6. შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ძირითადი პირობები, მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

6.1 შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების პირობები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტრენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“, ფიჭური სატელეფონო მომსახურების შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

6.2 თანამშრომელს უფლება აქვს ისარგებლოს შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული, კორპორატიულ ქსელში ჩართული მხოლოდ ერთი სააბონენტო ნომრით.

6.3 სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტულ თანამშრომელზე შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მეორე სააბონენტო (პირადი) ნომრის გაცემა, რომელიც განკუთვნილი იქნება პლანშეტური კომპიუტერისთვის მხოლოდ ინტერნეტის სარგებლობის ფუნქციით. თანამშრომელზე მეორე სააბონენტო (პირადი) ნომრის გაცემა შესაძლებელია ოპერატიული საქმიანობიდან გამომდინარე.

6.4 თანამშრომელს უფლება აქვს აიღოს კორპორატიულ ქსელში ჩართული, ფიზიკურ პირზე გაფორმებული, დამატებით მხოლოდ ერთი სააბონენტო ნომერი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ოჯახის წევრისთვის (მშობელი ან მეუღლე ან შვილი). შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ფინანსურად პასუხისმგებელი ასეთ სააბონენტო ნომერზე.

6.5 გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება) დადოს 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა შემსყიდველ ორგანიზაციასთან, 4.1 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

6.6 შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ხელშეკრულების გაფორმებისას, დანართის სახით გამარჯვებული პრეტენდენტს უნდა წარუდგინონ ინფორმაცია საშტატო ნუსხების (მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეების), ასევე თანამშრომლებზე (მათ შორის შტატგარეშე

მოსამსახურეებზე) და არათანამშრომლებზე (ოჯახის წევრებზე) გაცემული სააბონენტო ნომრებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული თანამშრომელთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტების შესახებ, ურთიერთშეთანხმებული ფორმით.

6.7 ხელშეკრულებაში მითითებული ნომრების რაოდენობა, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული თანამშრომელთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტები საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.8 შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი ვალდებულნი არიან თებერვალში, ივლისსა და დეკემბერში (აღნიშნული თვეების 10 რიცხვამდე) სატენდერო კომისიას წარუდგინონ განახლებული ინფორმაცია საშტატო ნუსხების (მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეების), შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული თანამშრომელთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტების, თანამშრომლებზე (მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეებზე) და არათანამშრომლებზე (ოჯახის წევრებზე) გაცემული სააბონენტო ნომრების, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კვოტის ფარგლებში პორტირებული აბონენტები შესახებ სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

6.9 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის 10 რიცხვამდე სატენდერო კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია წინა თვის განმავლობაში გაწეული მომსახურების შესახებ, სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

6.10 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარჯვებულ პრეტენდენტთან და სატენდერო კომისიასთან წარდგენილი ინფორმაცია დადასტურებული უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

6.11 შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ უფლებამოსილება, არათანამშრომლებზე გაცემულ ან სამომავლოდ გასაცემ სატელეფონო ნომრებზე მოიპოვონ შესაბამისი ინფორმაცია (მფლობელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი) და განახორციელონ მკაცრი მონიტორინგი არათანამშრომლებზე გაცემული სიმბარათების არამიზნობრივად და არაკეთილსინდისიერად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.

6.12 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მისი გამარჯვებულად გამოვლენისთანავე შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე, დაიწყოს მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და ნომრის პორტირების პროცედურები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და დაასრულოს აღნიშნული პროცედურები არაუგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

ბ) არ შეაფერხოს და ხელი შეუწყოს შესაბამისი კორპორატიული ნომრების პორტირების პროცესს (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

გ) ფიჭური სატელეფონო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აბონენტთა მომსახურების ოპერატორთან დაკავშირების დროს, მოლოდინის რეჟიმში პრიორიტეტი მიანიჭოს შემსყიდველ ორგანიზაციას.

დ) მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოს მის ქსელში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, მათ შორის სატენდერო კომისიის შესაბამისი მითითების საფუძველზე.

ე) უზრუნველყოს, რომ უწყვეტი ზარის ხანგრძლივობა იყოს არანაკლებ 30 წუთი.

6.13 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენისთანავე უზრუნველყოს გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცედურების დაწყება და მისთვის დასაპორტირებელი ნომრების მიწოდება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

ბ) პორტირების დასრულებამდე (ასეთი საჭიროების შემთხვევაში), უწყვეტი ფიჭური სატელეფონო მომსახურებით უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, ფიჭურ სატელეფონო მომსახურებას შეისყიდონ CON140000016 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელისგან მის მიერ კონსოლიდირებულ ტენდერში (CON140000016) შეთავაზებული ტარიფებით.

გ) დანართის სახით გამარჯვებულ პრეტენდენტს წარუდგინოს ინფორმაცია საშტატო ნუსხების (მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეების), ასევე თანამშრომლებზე (მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეებზე) და არათანამშრომლებზე (ოჯახის წევრებზე) გაცემული სააბონენტო ნომრებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული თანამშრომელთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტების შესახებ, ურთიერთშეთანხმებული ფორმით.

დ) თანამშრომლის გათავისუფლებისთანავე მოახდინოს შესაბამისი მიმწოდებლის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე და უზრუნველყოს გათავისუფლებული თანამშრომლისათვის ნომრის გადაცემა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს.

6.14 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.15 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

7.1 სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული ნებისმიერ საკითხზე ხორციელდება შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით:

mobile2015@spa.gov.ge. აღნიშნული ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს.

დანართი

ფიჭური სატელეფონო მომსახურების ძირითადი პირობები და ტარიფები				
N	**სერვისი**	**ერთეული**	**მაქსიმალური ტარიფი (ლარში)**	**დამატებითი პირობა**
1	**სიმ–ბარათის ღირებულება**		0	
1.1	ორნომრიანი სიმ–ბარათის ღირებულება		0	
1.2	სიმ–ბარათის შეცვლა/აღდგენის ღირებულება		0	
2	**ფიქსირებული გადასახადი (VPN) თანამშრომლის შემთხვევაში**	ერთ ნომერზე	0	
2.1	**ფიქსირებული გადასახადი (VPN) არათანამშრომლის შემთხვევაში**	ერთ ნომერზე	1	
3. სასაუბრო ტარიფები				
3.1	კორპორატიული ნომრების საუბრები პროვაიდერი კომპანიის კორპორატიული ქსელის შიგნით კვოტის ფარგლებში ყველა აბონენტისათვის	ერთი წუთი	0	
3.2	კორპორატიული ნომრების საუბრები პროვაიდერი კომპანიის ქსელში	ერთი წუთი	0	ზარის წამოწყების ღირებულებაა 0.05 ლარი

3.3	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები პროვაიდერი ქსელის გარეთ სხვა მობილური ოპერატორების აბონენტებთან	ერთი წუთი	0	ზარის წამოწყების ღირებულებაა 0.05 ლარი

3.4	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები Beeline-ის აბონენტებთან	ერთი წუთი	0.35	კანონმდებლობით ტარიფის შემცირების შემთხვევაში, მიმწოდებელმა შესაბამისად უნდა შეამციროს ამ პუნქტით გათვალისწინებული ტარიფი და პროვაიდერებს შორის ტარიფის გათანაბრების შემთხვევაში გაუტოლდეს ამ დანართის 3.3 პუნქტში არსებულ ტარიფს.
3.5	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები Silknet S1-ის აბონენტებთან	ერთი წუთი	0.148	კანონმდებლობით ტარიფის შემცირების შემთხვევაში, მიმწოდებელმა შესაბამისად უნდა შეამციროს ამ პუნქტით გათვალისწინებული ტარიფი და პროვაიდერებს შორის ტარიფის გათანაბრების შემთხვევაში გაუტოლდეს ამ დანართის 3.3 პუნქტში არსებულ ტარიფს.
3.6	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები ფიქსირებული ქსელების აბონენტებთან	ერთი წუთი	0.07	ზარის წამოწყების ღირებულებაა 0,05 ლარი

4. **მოკლეტექსტური შეტყობინებები (SMS) ტარიფები**				
4.1	SMS-ის ტარიფი პროვაიდერი კომპანიის კორპორატიული ქსელის შიგნით კვოტის ფარგლებში ყველა აბონენტისათვის	ერთი SMS	0	
4.2	SMS-ის ტარიფი პროვაიდერი კომპანიის ქსელში	ერთი SMS	0.01	
4.3	SMS-ის ტარიფი სხვა მობილურ ოპერატორების (მათ შორის საერთაშორისო) აბონენტებთან	ერთი SMS	0.01	გარდა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა
4.4	ჯგუფური SMS (BULK SMS)	ერთი SMS	0.0025	კონსოლიდირებულად 1 მილიონი და მეტი SMS. სატენდერო წინადადების მოქმედების პერიოდში
4.5	SMS მდივანი	ერთი დღე	0.05	
5. **როუმინგული მომსახურების პირობები**				
5.1	როუმინგის აქტივაცია		0	
5.2	როუმინგის დეპოზიტის ოდენობა		0	
5.3	როუმინგის შემომავალი ზარი	ერთი წუთი	0.5	გარდა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა
6. **მულტიმედიის ტარიფები**				

6.1	GPRS-ის აქტივაცია		0	
6.2	GPRS	ერთი MB	0.2	
6.3	MMS სერვისის აქტივაცია		0	
6.4	MMS-ის გზავნილი	ერთი გზავნილი	0.05	
6.5	MMS-ის გზავნილი საზღვარგარეთ	ერთი გზავნილი	1	
6.6	ვიდეოზარისა და მობილური ტელევიზიის სერვისის აქტივაცია		0	
6.7	ვიდეოზარი	ერთი წუთი	0.24	
6.8	მობილური ტელევიზია	ერთი წუთი	0.1	
7. **ინტერნეტ მომსახურების პირობები**				
7.1	ინტერნეტის ჩართვა		0	
7.2	1 MB		0.2	3.5 მბ/წ - 21 მბ/წ
	მოცულობითი პაკეტები			
7.3	30 MB		0.49	
7.4	50 MB		0.99	
7.5	500 MB		1.99	
7.6	1GB		2.99	
7.7	5GB		3.99	
7.8	15GB		4.99	

7.9	SMS-ის ან ვებპორტალის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს ინტერნეტ პაკეტის ამოწურვის კონტროლი			ვადის ამოწურვისას, ახალი პაკეტის შეძენის შემთხვევაში, დარჩენილი (ძველი) ლიმიტის გააქტიურება
9. **სხვა მომსახურების პირობები**				
9.1	დაფარული ნომრის სერვისის აქტივაცია		0	
9.2	გამოტოვებული ზარების შეტყობინების აქტივაცია		0	
9.3	ნომრის ამომცნობი სერვისის აქტივაცია		0	
9.4	ბალანსის შემოწმება		0	
9.5	დეტალური ამონაბეჭდი		0	
9.6	დამრგვალება		1 წამი	
9.7	ნომრის გადაფორმება ორგანიზაციიდან კერძო პირზე და პირიქით		0	
10. **GPRS VPN მომსახურება**				
მოცულობითი პაკეტები				
10.1	150 MB		3	
10.2	500 MB		5	
10.3	1 GB		7	
11. **დამატებითი მომსახურებები და მოწყობილობები**				
11.1	ბლექბერის სერვისი BIS	ერთი თვე	14.5	

11.2	ბლექბერის სერვისი BES	ერთი თვე	45	